

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა №86

2015 წლის 29 ივლისი,
ქ. ბათუმი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების ადამეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ **დანართი 1-ის** შესაბამისად;

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

გურამ ჩაგანავა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. მოდულური პროგრამის შემუშავება და წარმართვა

1.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამა (შემდეგში „მოდულური პროგრამა“) შემუშავდება და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამ დებულებით გათვალისწინებული წესით;

1.2. მოდულური პროგრამის შექმნის (დამატების) თაობაზე ადაწვევტილებას, ინიციატორი ფაკულტეტის წარდგინებით დახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით, ღებულობს ბსუ-ს აკადემიური საბჭო;

1.3. მოდულური პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი ან მოწვეული სპეციალისტი .

1.4. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ამ პროგრამის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებას, პროგრამის დაკომპლექტებას შესაბამისი პროფესორ - მასწავლებლებით (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით), მოდულების მომზადების ორგანიზებას, პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ ანგარიშის ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარდგენას.

1.5.. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან პრაქტიკულ კურსს წარმართავს პროფესიული განათლების მასწავლებელი. იგი უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის პროგრამების შემუშავებაში.

1.6. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

1.7. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

1.8. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 2. მოდულური პროგრამის აღწერილობა

2.1. მოდულური პროგრამის თავფურცელი მოიცავს:

- ა) პროგრამის სახელწოდებას;
- ბ) პროგრამის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის თარიღს და ნომერს;
- გ) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დასახელებას;
- დ) პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას.

2.2. პროგრამაში აისახება:

- ა) სახელწოდება;
- ბ) სარეგისტრაციო ნომერი;
- გ) პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით;
- დ) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
- ე) საკანონმდებლო ბაზა;
- ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ზ) კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;
- თ) პროგრამის მიზანი;
- ი) სწავლის შედეგები;
- კ) პროგრამის მოცულობა;
- ლ) პროგრამის ხანგრძლივობა;
- მ) პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;
- ნ) პროფესიულისტუდენტის მიღწევების შეფასება;

- ო) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;
- პ) პროგრამის დანართი.

2.3. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა (N1 დანართის სახით), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (№2 დანართის სახით) და მოდულები სხვა დანართების სახით.

მუხლი 3. სწავლების მეთოდოლოგია

მოდულური პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გაწერილია პროგრამის მოდულებში („მოდულის განხორციელების მიდგომები“).

მუხლი 4. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში

პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

4.1. უნივერსიტეტი მოდულური პროგრამის შეცვლისან გაუქმების შემთხვევაში, ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღებაში.

4.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობის შემთხვევაში ან სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამიდან მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4.3. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.

4.4. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მუხლი 5. მოდულური პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

5.1. მოდულური პროგრამები გაანგარიშებულია კრედიტებში, რისი სამართლებრივი საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/წ ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

მუხლი 6. მოდულურ პროგრამაზე მიღების გამოცხადება

უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების კვოტის ფარგლებშიცხადდება მიღება კონკრეტული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას და საფეხურს;
- ბ) ჩარიცხვის პირობებს;
- გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
- დ) დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღებს;
- ე) ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების წესს;
- ვ) საკონტაქტო ინფორმაციას.

მუხლი 7. ჩარიცხვის პროცედურა

7.1. ყველა მსურველს უფლება აქვს, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

7.2. პროფესიულ სტუდენტად შეიძლება ჩაირიცხოს პირი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და კონკრეტული პროფესიული

სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

7.3. „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის 152/ნ ბრძანების მე-2 თავის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი წესით, ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.

7.4. დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

7.5. დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ-გაზაფხულზე და შემოდგომაზე, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

მუხლი 8. ტესტირების სამართლებრივი შედეგები

8.1. „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, ხოლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტი

9.1. პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა ის პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) გასავლელად.

9.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (დედანი), რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის სტანდარტით.

გ) ორი ცალი ფოტოსურათი 3X4.

დ) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

9.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

9.4. რექტორის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ ქვეყნდება ბსუ-ს ვებ-ვერდზე.

9.5. ბსუ-ში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეიტანება სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სასწავლო რეგისტრაცია

10.1. ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

10.2.აკადემიური რეგისტრაციის გასაველადპროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადებულ ვადაში შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი;
- ბ) გააფორმოს უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

10.3. პროფესიულ სტუდენტს,რომელიც არ დარეგისტრირდება დადგენილ ვადაში , უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 11. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის

11.1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით;

11.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 12. მოდულური პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები

12.1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას(პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული მასწავლებლის კითხვარებს, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კითხვარებს, მოდულის (სასწავლო კურსის) შემოწმების ფორმას შიდა შეფასებისათვის/და პროგრამის შეფასების კითხვარებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას შიდა შეფასებისათვის).

12.2. ამ მუხლის 12.1. პუნქტით გათვალისწინებული ფორმები მტკიცდება რექტორის ბრძანებით და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

13.1. შეფასების სახეებია: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

13.2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

13.3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

13.4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, პროგრამის დასრულებამდე.

13.5. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის „ვერ დადასტურების“ შემთხვევაში დაწესებული უფლებამოსილია, რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

13.6. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა

14.1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების, მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე, სწავლების დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში;

14.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

- ა) ხანგრძლივი ავადმყოფობა;
- ბ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად გამგზავრება;
- გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა (თვითდაფინანსების შემთხვევაში).

დ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

14.3. სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის ვადის გასვლის შემდეგ აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტი ვადებულა თავად დაფაროს სწავლის საფასური.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა

15.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) გარდაცვალება;

დ) ბსუ-ს შინაგაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) პროგრამის დასრულების მომენტში პროგრამით გათვალისწინებული მოდულებიდან მინიმუმ ერთი შედეგის აუთვისებლობა.

15.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

15.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით და დგენილი წესით.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება

მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“ №1 დანართით დამტკიცებული შეფასების სტანდარტის შესაბამისად.

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება, საკვალიფიკაციო კომისია, პროფესიული დიპლომის გაცემა

17.1 პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა სრულად უნდა დააგროვოს შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

17.2. კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა) პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დ) პროგრამაში მონაწილე სპეციალობის პროფესიული მასწავლებელი.

17.3. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებული აქვთ შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები.

17.4. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, საკვალიფიკაციო კომისიის ინფორმაციის საფუძველზე, ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული დიპლომის შესაბამისი დანართით გაცემის თაობაზე.

მუხლი 18. წესში ცვლილებების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ინიციატივითა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.